

ფისკალური დეცენტრალიზაციის აუცილებლობა ადგილობრივი
თვითმმართველობის განვითარებისათვის: საქართველოს მაგალითი

სალომე ქველიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა გოგოლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს გიორგი გვალას

ამავე უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

მაგისტრანტის სალომე ქველიძის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ქველიძე

25 ივნისი, 2021

აბსტრაქტი

იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა არ შეფერხდეს აუცილებელია სახელისუფლებლო დონეებს შორის არსებობდეს სწორი კოორდინირება და გამართული საჯარო მმართველობა. ფინანსური სფერო, კერძოდ კი ფისკალური დეცენტრალიზაცია, ამ სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ამ საკითხმა საქართველოში განსაკუთრებულად პრიორიტეტული ადგილი დაიკავა ბოლო წლების განმავლობაში. ზუსტად ფისკალური დეცენტრალიზაცია ახდენს სახელისუფლებლო დონეებს შორის ფუნქციების და ფინანსების სწორ განაწილებას, რაც თავისთვად გვაძლევს ეკონომიკურად და დემოკრატიულად ძლიერ სახელმწიფოს .მოცემული **კვლევის მიზანია** განსაზღვროს ფისკალური დეცენტრალიზაციის განხორციელების ეფექტიანი შესაძლებლობა საქართველოს მაგალითზე.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენს : 1. საკვლევი საგნის თაობაზე არსებული წყაროების და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი; 2. სფეროს ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება; 3.მიღებული საკვლევი მასალების დამუშავება და ანალიზი.

ნაშრომი ეფუძნება კვლევის თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. თვისობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით გაანალიზირებულია რესპონდენტების ინტერვიუების შედეგები, ხოლო რაოდენობრივი მეთოდი გამოყენებულია ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხის განსაზღვრის მიზნით, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროცესში. ასევე შესწავლილი და დამუშავებული იქნა ქალაქ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ბიუჯეტის მონაცემები.

ნაშრომის **საკვლევი ჰიპოთეზის** მიხედვით საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის სათანადო ხარისხი შესაძლოა მიღწეულ იქნას მხოლოდ მუნიციპალიტეტებისთვის საკუთარი შემოსავლების გაზრდის გზით, რაც უნდა განხორციელდეს თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე მდებარე დაურეგისტრირებელი ან/და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონებების თვითმმართველი ერთეულისთვის გადაცემის პარალელურად.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური დეცენტრალიზაცია, ეფექტიანი საჯარო მმართველობა, ეკონომიკური ზრდა,

Abstract

In order not to hinder the economic growth of the country, it is necessary to have proper coordination and public administration between the levels of government. Financial field, in particular fiscal decentralization, is the most important part of this system, and this issue has taken a place of having a particularly high priority in Georgia during the last few years. It is fiscal decentralization that performs correct allocation of functions and finances between the levels of government, which in itself gives us an economically and democratically strong State.

The **aim of the present research** is to determine effective possibility of implementation of fiscal decentralization on the example of Georgia.

The objectives of the research are as follows:

1. Analyzing the existing sources and statistical data on the subject of the research;
2. Taking interviews from respondents;
3. Processing and analyzing the obtained research materials.

The paper is based on qualitative and quantitative research methods. The results of the interviews of the respondents are analyzed using the qualitative research method, while the quantitative method is used in order to determine the degree of fiscal decentralization in the process of statistical data processing.

According to the **research hypothesis** of the paper an appropriate degree of fiscal decentralization in Georgia can be achieved only by increasing its own revenues for

municipalities, which should be achieved in parallel with the process of assigning unregistered and/or state-owned properties located on the territory of self-governing units to the latter.

Key Words: Fiscal decentralization, effective public administration, economic growth.